ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 41

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 28 თებერვალი, 2015 წელი

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება 3000 ლარი 00 თეთრი. საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე", "კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

CPV კოდი 80530000;

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა, წარმომადგენელი თეონა ყაჭეიშვილი (შემდგომში „შემსყიდველი")

მდებარე ქ. თბილისი, შარტავას ქ. № 20

და მეორეს მხრივ ფონდი "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი", წარმომადგენელი აღმასრულებელი დირექტორის, ეკა ურუშაძისსახით,

მდებარე ქ. თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა (შემდგომში „მიმწოდებელი)

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაგეგმვა და უზრუნველყოფა, სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში დაგეგმვის გუნდის კონსულტირება, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

ხელშეკრულების ღირებულება **შეადგენს 3000** ლარი 00თეთრი (სამი ათასი ლარი 00 თეთრი) (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.1.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

5.1.2. მიმწოდებლის მიერ მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან დღის განმავლობაში

5.4.2. შეასრულოს მომსახურება დადგენილი ხარისხითა და სტანდარტებით;

5.4.3. განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6. **მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

მომსახურება მოწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, რომელსაც ხელშეკრულების პირობების შესრულების შემოწმების შემდეგ შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ინსპექტირების ჯგუფის წევრები.

7. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ინსპექტირება**

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი.

8. გარანტია

შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმისდა მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

10. ფასები.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 9.2 პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმვლობაში

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

12.4 მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

12.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტა, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ნებისმიერ დროს მისი მოქმედების განმავლობაში.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 10 აგვისტომდე

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - ქალაქ თბილისის № №198 საჯარო სკოლა ს/კოდი 202887778	ფონდი "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" ს/კოდი 204873618
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 სახაზინო კოდი 32 02 05 02 08 ა.ა. 200122900; ბ/კოდი 220101222;	სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის № GE06BG0000000298139902
ქ. თბილისი: შარტავას ქ № 20 დირექტორი: თეონა ყაჭეიშვილი	ქ. თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა აღმასრულებელი დირექტორი ეკა ურუშაძე